წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებათ 35-40 საკითხი.

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი ,,მეფე და მხატვარი“ და უპასუხეთ კითხვებს:

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა:

- მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს. ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არს მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

1. სად ვითარდება ნაწარმოებში გადმოცემული მოქმედება?
   ა. ლავდიკიაში ბ. საქართველოში გ. საფრანგეთში
2. როგორ გესმით: ,,მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა“?
   ა. მხატვარი ძალიან უყვარდა.
   ბ. მხატვარს დიდ პატივს სცემდა.
   გ. მიზეზს ეძებდა რაიმე ცუდი შეემთხვია მისთვის.
3. რა გასაჭირში აღმოჩნდა მხატვარი?
   ა. საღებავები გამოლეოდა და მეფეს ვერ შეჰკადრა.
   ბ. მისთვის მიცემული დრო ცოტა აღმოჩნდა დავალების შესასრულებლად.
   გ. სასჯელი ელოდა ორივე შემთხვევაში, მეფეს ცალთვალას დახატავდა თუ ორივე თვალით.
4. რა გამოსავალი იპოვა მხატვარმა?
   ა. მეფის დავალება არ შეუსრულებია.
   ბ. სასახლიდან გაიქცა და გადაიმალა.
   გ. მეფის პორტრეტი ირემზე ნადირობის სცენის შემადგენელი ნაწილი იყო.
5. ნაწარმოების მიხედვით, მხატვარი არ არის:
   ა. უგუნური ბ. გამჭრიახი გ. მოხერხებული
6. რომელი ანდაზით შეიძლება გამოვხატოთ იგავ-არაკის მთავარი სათქმელი?
   ა. ტკბილი ენით მთას ირემი მოიწველაო.
   ბ. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
   გ. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:
შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

7. ,,უზარმაზარი ციხე-დარბაზი, შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგეშოდ გადაჰყურებდა არე-მარეს.“
   ა. სიმდაბლით ბ. უშიშრად გ. საცოდავად
8. ,,აივნის თავში ტახტზე იჯდა ფეხმორთხმით დარბაისელი მოხუცი.“
   ა. სწრაფი ბ. კუშტი გ. დინჯი
9. ,,საარაკო იყო მათი ლახტის ცემა!“
   ა. სამარცხვინო ბ. სამაგალითო გ. სუსტი
10. ,,დაელეწათ ფარ-ხმალი გმირებს და ღონემიხდილნი მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ.“
    ა. გაბრაზებულნი ბ. ძალ-ღონე წართმეულნი გ. აღტაცებულნი
11. ,, გამოჩნდა ერთი ვიღაც ცხენოსანი, პირდაპირ სასახლისაკენ მოაგელვებდა ცხენს“
    ა. მოაქროლებდა ბ. მოათოხარიკებდა გ. მოაცუნცულებდა

შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:

12. ,,ეძინა იმ წყეულს! მისი შიშით საყდარში ვეღარავინ შედიოდა.“
    ა. გმირს ბ. კეთილს გ. დალოცვილს
13. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, ტანმაღალი, წელში წვრილი, მხარბეჭიანი, ფაფანაკ უკან გადაგდებული, გაჩეჩილი თმით და გაწკვერტილის ულვაშებით ტიტველა პირზე, სწორედ სასიამოვნო შესახედავი იყო.“
    ა. მაღალი ბ. საამო გ. ტანმორჩილი
14. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,,ბევრჯერ შემიცურებია ჩემი „აფხაზურა“ აღელვებულ ზღვაში და არა გამჭირვებია რა.“
    ა. აბობოქრებულ ბ. ადიდებულ გ. დამშვიდებულ

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

15. ,, ალმაცერად ყურება“ ანუ
    ა. პრობლემის დანახვა.
    ბ. უნდობლად, ეჭვით მოკიდება.
    გ. გამხიარულება.
16. ,, ამ სოფელს აღარ არის“ ანუ
    ა. სხვა ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად.
    ბ. უგრძნობლადაა.
    გ. სოფელში წავიდა.
17. ,,ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა“ იგივეა, რაც
    ა. არეულობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის.
    ბ. შეუდარებელი მებადური.
    გ. ცურვის გადამეტებული სიყვარული.
18. ,, ანგარიშის გასწორება“ არ არის
    ა. მიზღვა ბ. სამაგიეროს გადახდა გ. ფინანსური დახმარება
19. ,,ანგარიშის გაწევა“ არ არის
    ა. გათვალისწინება ბ. მხედველობაში მიღება გ. წართმევა